# შპს ფაინ თრი ინთერნეიშენალ

**ფინანსური ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

**შინაარსი:**


დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 3

**ფინანსური ანგარიშგება**

სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... 6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... 8

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ..... 9

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია ..... 10
2. მომზადების საფუძვლები ..... 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 11
4. წინა პერიოდის კორექტირება ..... 11
5. ამონაგები ..... 12
6. სხვა შემოსავლები ..... 12
7. კომერციული ხარჯები ..... 12
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 12
9. ძირითადი საშუალებები ..... 13
10. მარაგები ..... 13
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 13
12. საგადასახადო აქტივი ..... 14
13. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 14
14. მიღებული სესხები ..... 15
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 15
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 15
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 16
18. პირობითი ვალდებულებები ..... 16
19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ..... 17

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს ფაინ თრი ინთერნეიშენალ-ის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

**პირობითი მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს ფაინ თრი ინთერნეიშანალის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - "პირობითი მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") შესაბამისად.

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აქვს ამონაგები მომსახურების გაწევიდან 595,274 ლარის ოდენობით. აღნიშნული მომსახურების თვითღირებულების ნაწილში გაწეული ხარჯები (ხელფასი, ძირითადი საშუალებების ცვეთა, საწვავი და სხვა ზედნადები ხარჯი) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილია კომერციულ და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში, ნაცვლად რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებისა. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები თუ რა მოცულობის ხარჯები უნდა წარდგენილიყო გაწეული მომსახურების თვითღირებულებად. ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით აღნიშნულის დადგენა. აქედან გამომდინარე ვერ განვსაზღვრეთ რა მოცულობის კორექტირება იყო საჭირო კომერციულ, საერთო და ადმინისტრაციულ და მომსახურების თვითღირებულების მუხლებზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის  ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:


დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის #**SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო


11 აგვისტო, 2023 წელი

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს ფაინ თრი ინთერნეიშენალ-ის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

**პირობითი მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს ფაინ თრი ინთერნეიშანალის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - "პირობითი მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") შესაბამისად.

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აქვს ამონაგები მომსახურების გაწევიდან 595,274 ლარის ოდენობით. აღნიშნული მომსახურების თვითღირებულების ნაწილში გაწეული ხარჯები (ხელფასი, ძირითადი საშუალებების ცვეთა, საწვავი და სხვა ზედნადები ხარჯი) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილია კომერციულ და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში, ნაცვლად რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებისა. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები თუ რა მოცულობის ხარჯები უნდა წარდგენილიყო გაწეული მომსახურების თვითღირებულებად. ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით აღნიშნულის დადგენა. აქედან გამომდინარე ვერ განვსაზღვრეთ რა მოცულობის კორექტირება იყო საჭირო კომერციულ, საერთო და ადმინისტრაციულ და მომსახურების თვითღირებულების მუხლებზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის **#SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

11 აგვისტო, 2023 წელი

**შპს ფაინ თრი ინთერნეიშენალ**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

| | შენიშვნა | 2022 | 2021* |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 5 | 12,033,598 | 10,778,489 |
| თვითღირებულება | 5 | (5,259,520) | (6,243,207) |
| **საერთო მოგება** | | **6,774,078** | **4,535,282** |
| სხვა შემოსავალი | 6 | - | 304,836 |
| კომერციული ხარჯები | 7 | (3,819,271) | (3,685,245) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 8 | (1,419,241) | (1,337,018) |
| **საოპერაციო მოგება/(ზარალი)** | | **1,535,566** | **(182,145)** |
| საპროცენტო ხარჯი | | (4,531) | (2,443) |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა | | 313,699 | 334,838 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **1,844,734** | **150,250** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | (135,208) | - |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | | **1,709,526** | **150,250** |

(*) - გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 11 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი — გიორგი ბერიძე

ფინანსური მენეჯერი — გიორგი თურმანიძე

**შპს ფაინ თრი ინთერნეიშენალ**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

| | **შენიშვნა** | **2022** | **2021*** |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 5 | 12,033,598 | 10,778,489 |
| თვითღირებულება | 5 | (5,259,520) | (6,243,207) |
| **საერთო მოგება** | | **6,774,078** | **4,535,282** |
| სხვა შემოსავალი | 6 | - | 304,836 |
| კომერციული ხარჯები | 7 | (3,819,271) | (3,685,245) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 8 | (1,419,241) | (1,337,018) |
| **საოპერაციო მოგება/(ზარალი)** | | **1,535,566** | **(182,145)** |
| საპროცენტო ხარჯი | | (4,531) | (2,443) |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა | | 313,699 | 334,838 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **1,844,734** | **150,250** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | (135,208) | - |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | | **1,709,526** | **150,250** |

(*) - გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 11 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

| | | |
|---|---|---|
| აღმასრულებელი დირექტორი | _____ | გიორგი ბერიძე |
| ფინანსური მენეჯერი | _____ | გიორგი თურმანიძე |

10-23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

| | **შენიშვნა** | **31.12.2022** | **31.12.2021*** |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 9 | 475,303 | 592,213 |
| არამატერიალური აქტივები | | 127,408 | 133,567 |
| | | **602,711** | **725,780** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | |
| მარაგები | 10 | 512,520 | 923,106 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 11 | 2,419,586 | 2,185,430 |
| საგადასახადო აქტივი | 12 | 29,753 | 4,112 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 13 | 534,519 | 85,509 |
| | | **3,496,378** | **3,198,157** |
| **სულ აქტივები** | | **4,099,089** | **3,923,937** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 853,930 | 1,054,678 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 1,205,805 | 262,459 |
| **სულ კაპიტალი** | | **2,059,735** | **1,317,137** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| მიღებული სესხები | 14 | 202,241 | - |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 15 | 1,837,113 | 2,606,800 |
| **სულ ვალდებულებები** | | **2,039,354** | **2,606,800** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **4,099,089** | **3,923,937** |

(*) - გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

10-23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

| | **საწესდებო კაპიტალი** | **დაგროვილი მოგება** | **სულ კაპიტალი** |
|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2020*** | **1,907,591** | **112,209** | **2,019,800** |
| კაპიტალის ზრდა | 520,000 | - | **520,000** |
| კაპიტალის შემცირება | (1,372,913) | - | **(1,372,913)** |
| მთლიანი სრული შემოსავალი | - | 150,250 | **150,250** |
| | | | **-** |
| **31 დეკემბერი 2021*** | **1,054,678** | **262,459** | **1,317,137** |
| კაპიტალის შემცირება | (200,748) | - | **(200,748)** |
| მთლიანი სრული შემოსავალი | - | 1,709,526 | **1,709,526** |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | (766,180) | **(766,180)** |
| **31 დეკემბერი 2022** | **853,930** | **1,205,805** | **2,059,735** |

(*) - გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

10-23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

| | შენიშვნა | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მოგება დაბეგვრამდე | | **1,844,734** | **150,250** |
| **კორექტირებები:** | | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 7,8 | 132,952 | 167,996 |
| ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი | | - | 5,639 |
| ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება | | (14,972) | (2,237) |
| მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი | | 4,531 | 2,443 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება | | 37,390 | 29,452 |
| გადაფასებიდან მიღებული ზარალი, წმინდა | | (313,699) | (334,838) |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე** | | **1,690,936** | **18,705** |
| ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში: | | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა) | | (271,547) | 41,838 |
| მარაგების შემცირება/(ზრდა) | | 408,670 | 881,719 |
| საგადასახადო აქტივების შემცირება/(ზრდა) | | (25,641) | 4,488 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება | | (414,945) | (34,080) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები პროცენტამდე და დაბეგვრამდე** | | **1,387,473** | **912,670** |
| გადახდილი პროცენტები | | (2,588) | (2,443) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (135,208) | - |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები** | | **1,249,677** | **910,227** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | | |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა | | (19,538) | (17,828) |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა | | (10,117) | (69,045) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა | | 34,744 | 17,138 |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციოს საქმიანობისთვის გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები** | | **5,089** | **(69,735)** |
| **ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:** | | | |
| სესხის მიღება | | 278,748 | - |
| სესხის დაფარვა | | (69,930) | - |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | | - | 520,000 |
| საწესდებო კაპიტალის შემცირება | | (200,748) | (1,372,913) |
| გადახდილი დივიდენდები | | (766,180) | - |
| **საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | | **(758,110)** | **(852,913)** |
| **წმინდა ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში** | | **496,656** | **(12,421)** |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში** | **13** | **85,509** | **135,283** |
| ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ზარალი | | (47,646) | (37,353) |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **13** | **534,519** | **85,509** |

10-23 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფაინ თრი ინთერნეიშენალ (შემდგომში კომპანია) ს.კ 405376828 დაფუძნდა 2020 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 წელს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიასთან - შპს ფაინ თრი, გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიას გადმოეცა ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელსაც ფლობდა შპს ფაინ თრი, აღნიშნული ოპერაცია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან შეძენილი აქტივები და ვალდებულებები კომპანიამ აღრიცხა საბალანსო ღირებულებით.

შპს ფაინ თრი ინთერნეიშენალ ბავშვთა კვების, ჰიგიენური საშუალებებისა და ტკბილეულის ბრენდების ექსკლუზიური იმპორტიორია, როგორებიცაა: Guylian, Humana, Hyson, Komili, Karapuz და ა.შ. კომპანია დისტრიბუციას ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კომპანიის მფლობელები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **წილი** |
|---|---|
| კონიაშვილი თეიმურაზი (მაკონტროლებელი პირი) | 80% |
| კონიაშვილი თამარი | 20% |

კომპანიის მფლობელების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 17.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.

კომპანიის გენერალური დირექტორია ბატონი თეიმურაზ კონიაშვილი, ხოლო აღმასრულებელი დირექტორი ბატონი გიორგი ბერიძე.

## 2. მომზადების საფუძვლები

**მომზადების საფუძვლები**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

**შეფასების საფუძვლები**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-19 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები**. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, შეფასებისას ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

**ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება** - ჯგუფური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. გაუფასურების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით. გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი მოთხოვნების ნაშთზე იმ პერიოდისთვის, როდესაც თანხის გაანგარიშება ხდება და კლასიფიცირდება როგორც არა-ანაზღაურებადი. კომპანია თვლის, რომ ფინანსური აქტივი დეფოლტურია, როდესაც სახელშეკრულებო გადასახდელი 365 დღეზე მეტ ვადაგადაცილებაშია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შესაძლებელია აქტივი დეფოლტურად მაშინაც ჩათვალოს, როდესაც შიდა და გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ სავარაუდოა, კომპანიამ ვერ მიიღოს დასაფარი სახელშეკრულებო თანხები. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

## 4. წინა პერიოდის კორექტირება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ჩაატარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი და გადაიანგარიშა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი. შედეგად, 2022 წელს კომპანიამ დააკორექტირა 2021 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით შესადარისი მონაცემები აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

წინა პერიოდის კორექტირებების გასწორების ეფექტი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

| | **წინაპერიოდში წარდგენილი** | **წინა პერიოდის კორექტირება** | **გადაანგარიშებული 31.12.2021** |
|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2,395,552 | (210,121) | 2,185,431 |
| გაუნაწილებელი მოგება | 472,581 | (210,122) | 262,459 |

წინა პერიოდის კორექტირებების გასწორების ეფექტი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

| | **წინაპერიოდში წარდგენილი** | **წინა პერიოდის კორექტირება** | **გადაანგარიშებული 31.12.2021** |
|---|---|---|---|
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | (1,307,566) | (29,452) | (1,337,018) |

წინა პერიოდის კორექტირებების გასწორების ეფექტი 2021 წლის 1 იანვარს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

| | **წინაპერიოდში წარდგენილი** | **წინა პერიოდის კორექტირება** | **გადაანგარიშებული 31.12.2021** |
|---|---|---|---|
| გაუნაწილებელი მოგება | 292,879 | (180,670) | 112,209 |

## 5. ამონაგები და თვითღირებულება

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| საქონლის რეალიზაცია | 11,438,324 | 10,778,489 |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 595,274 | - |
| | **12,033,598** | **10,778,489** |

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | (5,259,520) | (6,243,207) |
| | **(5,259,520)** | **(6,243,207)** |

## 6. სხვა შემოსავალი

2021 წლის 8 დეკემბერს შპს ფაინ თრი ინთერნეიშენალმა გააფორმა ხელშეკრულება შპს ინტრეიდთან Bahlsen ბრენდის რეალიზაციასთან დაკავშრებით. შედეგად, შპს ინტრეიდი დაინიშნა Bahlsen პროდუქციის იმპორტ-დისტრიბუტორად საქართველოში. ბრენდის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 218,325 ლარი (73,750 ევროს ექვივალენტი).

## 7. კომერციული ხარჯები

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი | (1,190,554) | (1,111,108) |
| შეძენილი მომსახურებები | (1,172,441) | (901,017) |
| მარკეტინგული ხარჯი | (559,620) | (810,755) |
| იჯარა | (487,992) | (415,907) |
| ავტომობილების მოვლა/შენახვის და საწვავის ხარჯები | (292,417) | (303,603) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (79,810) | (107,199) |
| დაზღვევა | (29,373) | (29,190) |
| სხვა | (7,064) | (6,466) |
| | **(3,819,271)** | **(3,685,245)** |

## 8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი | (619,700) | (633,352) |
| საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა | (283,293) | (228,461) |
| საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება | (107,535) | (86,804) |
| იჯარა | (68,586) | (57,800) |
| მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი | (37,390) | (29,452) |
| ოფისის ხარჯი | (68,123) | (76,972) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (53,142) | (60,797) |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | (38,594) | (58,607) |
| კომუნიკაციის ხარჯები | (29,121) | (30,826) |
| მივლინება | (17,199) | (13,457) |
| დაზღვევა | (14,825) | (18,025) |
| სხვა | (81,733) | (42,465) |
| | **(1,419,241)** | **(1,337,018)** |

უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება განმარტებულია მე-16 შენიშვნაში.

## 9. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება | სატრანსპორტო საშუალებები და სპეცტექნიკა | ავეჯი და საოფისე ინვენტარი | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | სულ |
|---|---|---|---|---|
| **2020 წლის 31 დეკემბერი** | **596,854** | **242,067** | **30,906** | **869,827** |
| შემოსვლა | - | 15,373 | 2,455 | **17,828** |
| გასვლა | (17,121) | (10,534) | - | **(27,655)** |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | **579,733** | **246,906** | **33,361** | **860,000** |
| შემოსვლა | - | 19,538 | - | **19,538** |
| გასვლა | (32,852) | - | - | **(32,852)** |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **546,881** | **266,444** | **33,361** | **846,686** |
| | | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | |
| **2020 წლის 31 დეკემბერი** | **(85,268)** | **(35,340)** | **(1,545)** | **(122,153)** |
| ცვეთა | (105,529) | (40,978) | (6,240) | **(152,747)** |
| გასვლა | 5,479 | 1,634 | - | **7,113** |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | **(185,318)** | **(74,684)** | **(7,785)** | **(267,787)** |
| ცვეთა | (78,351) | (33,210) | (5,115) | **(116,676)** |
| გასვლა | 13,080 | - | - | **13,080** |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **(250,589)** | **(107,894)** | **(12,900)** | **(371,383)** |
| | | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | **394,415** | **172,222** | **25,576** | **592,213** |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **296,292** | **158,550** | **20,461** | **475,303** |

## 10. მარაგები

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| სარეალიზაციო მარაგები | 254,010 | 414,975 |
| სხვა | 63,958 | 92,790 |
| საქონელი გზაში * | 194,552 | 415,341 |
| | **512,520** | **923,106** |

(*) - საქონელი გზაში წარმოადგენს მარაგებს, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიაზე გადმოცემულია ფლობის რისკი და სარგებელი, თუმცა 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მარაგები იმყოფება გზაში.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქონელი გზაში სრულად წარმოდგენილია ბავშვთა კვების პროდუქციით.

## 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | |
| სავაჭრო მოთხოვნები | 2,460,149 | 2,281,994 |
| საეჭვო ვალების რეზერვი | (247,512) | (210,122) |
| | | |
| **არაფინანსური აქტივები** | | |
| გადახდილი ავანსები | 206,949 | 113,558 |
| | **2,419,586** | **2,185,430** |

## 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ანალიზი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **საბალანსო ღირებულება** | **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი** |
|---|---|---|
| გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები, რომელიც არ არის გაუფასურებული | 2,212,637 | - |
| გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები, რომელიც გაუფასურებულია | 247,512 | (247,512) |
| **სულ** | **2,460,149** | **(247,512)** |

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ანალიზი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და გაცემული ავანსებისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **საბალანსო ღირებულება** | **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი** |
|---|---|---|
| გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები, რომელიც არ არის გაუფასურებული | 2,071,872 | - |
| გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები, რომელიც გაუფასურებულია | 210,122 | (210,122) |
| **სულ** | **2,281,994** | **(210,122)** |

საეჭვო ვალების რეზერვის რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **31.12.2022** | **31.12.2021** |
|---|---|---|
| **ნაშთი 1 იანვარი** | **(210,122)** | **(180,670)** |
| რეზერვის ზრდა | (37,390) | (29,452) |
| **ნაშთი 31 დეკემბერი** | **(247,512)** | **(210,122)** |

## 12. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად, როგორც აქტივი 29,753 და 4,112 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

## 13. ფული და ფულის ეკვივალენტები

| | **31.12.2022** | **31.12.2021** |
|---|---|---|
| ფული სალაროში | 38,632 | 14,894 |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე | 495,887 | 70,615 |
| | **534,519** | **85,509** |

## 14. მიღებული სესხები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული სესხები სრულად წარმოდგენილია საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხით, ჯამური ღირებულებით 202,241 ლარი.

კომპანიის მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია 8%. სესხი ნომინირებულია აშშ დოლარში. სესხის დაფარვის ვადა განსაზღვრულია 2023 წლის 29 აგვისტო.

## 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 1,699,920 | 2,446,562 |
| სხვა ვალდებულებები | 94,603 | 7,307 |
| | **1,794,523** | **2,453,869** |
| **არაფინანსური ვალდებულებები** | | |
| მიღებული ავანსები | 42,590 | 152,931 |
| | **1,837,113** | **2,606,800** |

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

## 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | საერთო კონტროლის ქვეშ | უმაღლესი მმართველი პირები | სხვა დაკავშირებული მხარე | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** | | | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 181,502 | - | - | **181,502** |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 354 | - | - | **354** |
| მარაგების შესყიდვა | 21,209 | - | - | **21,209** |
| **სრული შემოსავლის ანგარიშგება** | | | | |
| ამონაგები | 1,495 | 3,452 | - | **4,947** |
| სხვა შემოსავალები | - | 3,452 | 1,495 | **4,947** |
| კომერციული ხარჯები | (461,638) | - | (126,204) | **(597,072)** |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | (68,442) | (4,275) | - | **(72,717)** |

**16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

კომპანიასა  და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **საერთო კონტროლის ქვეშ** | **უმაღლესი მმართველი პირები** | **სხვა დაკავშირებული მხარე** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** | | | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 91,059 | - | - | **91,059** |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 62,432 | - | - | **62,432** |
| მარაგების შესყიდვა | 74,278 | - | - | **74,278** |
| **სრული შემოსავლის ანგარიშგება** | | | | |
| ამონაგები | - | 1,714 | 3,514 | **5,228** |
| სხვა შემოსავალები | 2,687 | 1,760 | - | **4,447** |
| კომერციული ხარჯები | (403,499) | - | - | **(403,499)** |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | (57,301) | (3,276) | - | **(60,577)** |

დირექტორების და უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| უმაღლესი ხელმძღვანელი პირების მოკლევადიანი გასამრჯელო | (294,405) | (287,821) |

**17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

**დივიდენდის გაცემა** - 2023 წელს, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლების მიერ გამოცხადებული დივიდენდი შეადგენს 503,715 ლარს.

**ცვლილება დამფუძნებელთა რიგებში** - 2023 წლის 17 იანვარს პარტნიორთა გადაწყვეტილებით თეიმურაზ და თამარ კონიაშვილის ფლობილი წილებიდან მოხდა 10-10%-ის გადაცემა ანა კონიაშვილზე  და კაროლინა კონიაშვილი-კუზნეცოვაზე უსასყიდლოდ, თუმცა ყველა წილის მართვის უფლება კვლავ რჩება თეიმურაზ კონიაშვილზე. შედეგად, კომპანიის მფლობელები მიმდინარე მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| კონიაშვილი თეიმურაზი | 70% |
| კონიაშვილი თამარი | 10% |
| ანა კონიაშვილი | 10% |
| კაროლინა კონიაშვილი-კუზნეცოვა | 10% |
| | **100%** |

**18. პირობითი ვალდებულებები**

**იურიდიული საკითხები**

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**საოპერაციო გარემო**

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად. ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ

**18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

**დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

**დივიდენდის განაწილება**

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება. პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 180,871 ლარი.

**19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| | აშშ დოლარი | ევრო |
|---|---|---|
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.7020 | 2.8844 |
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0976 | 3.5040 |

**ფინანსური ინსტრუმენტები**

**ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

**19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან. ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

**გაუფასურება**

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყონებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა**

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები

**19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

| | **სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)** |
|---|---|
| მანქანა-დანადგარები | 5 |
| ავეჯი და საოფისე ინვენტარი | 5 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5 |

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე. გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

**მარაგები**

კომპანიის მარაგები მოიცავს სხვადასხვა სახის ბავშვთა საკვებ პროდუქტებს, ჰიგიენურ საშუალებებს, ტკბილეულსა და სხვა პროდუქციას. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში

**19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

**საქონელი გზაში**

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შესყიდული და გადაზიდვას დაქვემდებარებულია, თუმცა ჯერ არ არის მიწოდებული. საქონელზე რისკები და სარგებელი გადაცემულია კომპანიისათვის, მათი გადაზიდვის ადგილმდებარეობიდან.

**დაბეგვრა**

გადასახადები მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ან/და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის იმპორტი და მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე.

**ამონაგები**

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

**19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო

მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

**თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

**საოპერაციო იჯარა**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

**ხელფასები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

**საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

**ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

**19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

**ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს(ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

**საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ

**19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.